ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.—სამშაბათი, 22 თებერვალი 1900 წ. № 1050.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)
**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|
| 10 მანეთი | 6 მან. | 4 მან. |

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)
**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**
გაზეთის ფასი გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|
| 6 მანეთი | 3 მ. 50 კ. | 2 მანეთი | 75 კაპ |

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გზოვნის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.
(60—12)

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივის ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის ოცდა ექვსს, საღამოს შვიდს საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამა კრების გასარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1899 წლის განმავლობაში და დამტკიცება მოგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ გასამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ აღრიცხვისა 1900 წლისათვის.

4) მოხსენება გამგეობისა საზოგადოების ახალის შენობაზედ და მაზედ დანახარჯის აღრიცხვა.

და 5) არჩევა წესდების თანახმად, გამომავალთა მაგიერის: ორი რჩევის დეპუტატის, გამგეობის დირექტორისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

როგორც წერილები, ისე გაქირვებები უნდა მოუვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდის სამის დღით წინ მაინც. ნ. 1—1

## ახალი ამბავი

✦ მის ყოვლად-უსამღვდელოესობას ალავერდის ეპისკოპოზს კირიონს მოსვლია ფიქრად ერთი ფრიად სასარგებლო აზრი. ეს ის აზრია, რომ ასის წლის რუსეთთან საქართველოს შეერთების სახსოვრად დაარსებულ იქმნას უმაღლესის მთავრობის მიერ **კათედრა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა** პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. მისის მეუფების აზრი დიდის თანაგრძნობით მიუღიათ სხვა ჩვენს ეპისკოპოსებს — ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესა, ბესარიონსა და ლეონიდს და ოთხივეს ერთად წარუდგენიათ მოხსენება ამ საგნის შესახებ მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანესათვის უწმინდესის სინოდის წინაშე შუამდგომლობის დასაწყებად. ყოვლად-სამღვდელოთა კრებულს ამ მოხსენებაში დაუსახელებია ზემოხსენებულს კათედრაზე განსაწესებლად ორი კანდიდატი: ალ. ხახანაშვილი და ჟორდანია, კანდიდატი ღვთის მეტყველებისა, დღეს საეპარქიო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

✦ მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესსორი ალ. ხახანაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტს მიუწვევია პრივატ დოცენტად **ქართულის სიტყვიერების ლექციების საკითხავად.** ლექციების კითხვა დაიწყება მომავალ 1-ლ სექტემბრიდან.

✦ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის** სწავლამართვის მხრივ რევიზიის მოხდენა, უკვე დაუსრულებია ხსენებული რევიზია. ამ კომისიის წევრნი, ბ-ნი ი. ზურაბიშვილი და ა. მიქაბერიძე, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში. სათანადო მოხსენება რევიზიის შესახებ სულ მოკლე ხანში წარედგინება ქ. შ. წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების გამგეობას.

✦ 18 თებერვალს ქ. ახალქაში კვლავ ყოფილა **მიწის ძვრა.** პირველად მიწა შერყეულა სუსტად დილის 10 საათზე, მეორედ საკმაოდ მძლავრად საღამოს 8 საათზე. იყო თუ არა მიწის ძვრა მაზრაშიაც, ჯერ ცნობა არ მოსულა.

✦ დღეს, 22 თებერვალს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე გენ-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, მოხდება ჩვეულებრივი კრება **რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.** კრებას მოხსენდება წარსული წლის ანგარიში და შემდეგ აირჩევიან განყოფილების გამგე პირნი.

✦ ამავე დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, მოხდება **რუსეთის საბადოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება,** რომელზედაც განხილულ იქმნება კითხვა იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს განყოფილებამ პარიზის მომავალ გამოფენაში.

✦ ქსნის ხეობის რამდენიმე სოფელმა ამას წინად მიჰმართა თხოვნით სათანადო დაწესებულებას იმის შესახებ, რომ გამაგრებულ იქმნას **ქსნის ნაპირები** თეზისა, ოკმის და ქსოვრისის მიდამოებში, რადგან გაზაფხულის წყალდიდობის დროს ქსანი დიდ ზარალს აძლევს ხსენებულ სოფლებს. თხოვნის მიხედვით გაგზავნილ იქნა ინჟენერ-გიდრავლიკი ზავრიევი, რომელმაც, დაათვალიერა რა ხსენებული ადგილები, საჭიროდ სცნო რამდენიმე ადგილას ნაპირების გამაგრება და დამბების გაკეთება.

✦ 1 მოვამალ მარტს ტფილისში გაიხსნება **კრება ტფილისის** გუბერნიის და ზაქათალის ოლქის **ტყის რევიზორთა და ტყის მპატრონეთა.**

✦ ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ სოფლებში, როგორც სჩანს ადგილობრივ ადმინისტრაციის ცნობებიდან, **ჟვავილი მძვინვარებს.**

✦ გუშინ, 21 თებერვალს, ქალაქის საპჭოს სხდომაზე მოხდა **არჩევნება ქალაქის თავის მოადგილისა.** არჩეულ იქმნა 27 ხმით, წინააღმდეგ 20-სა გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

✦ კვირას, 20 თებერვალს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართა **სალიტერატურო, სამუსიკო და სასიმღერო დილა.** კონცერტის დაწყებამდე ნაჩვენები იყო ბუნდოვანი სურათები ჟანნა დ'არკის ცხოვრებიდან. სურათებს უხსნიდა ხალხს ბ. ივ. რატიშვილი. დილა ორ განყოფილებისაგან შესდგებოდა. მონაწილეობა მიიღეს თავ. აკაკი წერეთელმა, რომელმაც წაიკითხა თავისი სამი ლექსი, კნ. დიასამიძისამ, რომელიც უკრავდა როიალზედ, ბ-ნმა კრეინმა, რომელმაც აღასრულა რამდენიმე №№ სკრიპკაზე, ძმებმა კუზავოვებმა, რომელთაც აღასრულეს რამდენიმე №№ გიტარაზე, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისამ, რომელმაც დუდუკის აკომპანიმენტით იმღერა „აღმართ-

ალმართ" და „სამშობლო ხევსურისა", ბ-ნმა ურუშაძემ, რომელმაც წაიკითხა სცენები იმერლების ცხოვრებიდან და ზ. პ. ფალიაშვილის ხორომ, რომელმაც იმღერა 8 ქართული სიმღერა. დილამ მშვენივრად ჩაიარა და ნამდვილი აღტაცება გამოიწვია ხალხში. აკაკის სახალხო სცენაზე გამოსვლამ მეტად გაახარა დამსწრენი და „ვაშას" ყვირილს და ტაშის-ცემას ბოლო აღარ ჰქონდა. დიდის თანაგრძნობით ეგებებოდა აგრეთვე ხალხი დილაში სხვა მონაწილეობის მიმღებთ, ნამეტურ ძალიან მოეწონა ხალხს ქ-ბ-ნი გაბუნია-ცაგარლის სიმღერა და აგრეთვე ფალიაშვილის ხოროს სიმღერები.

◆ პარასკევს, 18 თებერვალს, და შაბათს, 19 თებერვალს, გაიმართა **ქართული წარმოდგენები**: პარასკევს—რეჟისორების საბენეფისოდ—თ. სუმბათიშვილის პიესა „კაზაიანი" და პ. უმიკაშვილის ვოდევილი „რიოში და ნამდვილი"; შაბათს—სეზონის დასრულებისთვის—„სამშობლო" და ვოდევილი „ადვოკატთან". „კაზაიანი" საუცხოვო ანსამბლით იყო წარმოდგენილი: ყველანი თავთავიანთ ადგილზე იყვნენ, ხოლო უმთავრესი არტისტები, როგორც რუსები იტყვიან, „были въ ударѣ" და მშვენივრად არდგენდნენ. სამაგიეროდ „სამშობლო" სუსტად იყო ნათამაშევი. ვოდევილებმა მხიარულად ჩაიარეს და ბევრი აცინეს ხალხი.

◆ ტფილისში განზრახულია დაარსება **სამკლასიან საგაჭრო სკოლისა.** ამის შესახებ უკვე წარედგინა შუამდგომლობა სათანადო მმართველობას.

◆ **ზემო იმერეთიდან** გვწერენ, რომ იქ უკანასკნელ დღეებში ზაფხულის ამინდებია. ხე-ტყე აგერ-აგერ ამწვანდება. საშიშია ასეთი ადრეული გამოზაფხულება, რადგანაც, თუ თოვლი მოვიდა და ცოტათი აცივდა, ხეხილი გაფუჭდება.

◆ როგორც სჩანს ტფილისის სამხედრო საქმეთა საკრებულოს ანგარიშიდან, 1899 წელს **სამხედრო ბეგარა** წლოვანობით უნდა ეკისრა ტფილისში 643 კაცს; ამათგან სხვა-და სხვა კანონიერ მიზეზებისაგამო განთავისუფლებულ იქმნა 240 კაცი. 31 კაცს მიეცა ვადა სწავლის დასრულებისათვის. კენჭი ხვდა სულ 196 კაცს, რომელთაგან რუსი იყო—72 კაცი, ქართველი—33, სომეხი—75, ურია—8, გერმანელი—3, პოლშელი—2, ბერძენი—1 და თათარი—2. არ გამოცხადდა 70 ქრისტიანი და 1 ებრაელი.

◆ ქუთაისის **გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად დაარსებულ სახალხო ბიბლიოთეკის საქმე,** როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ძრიელ კარგათ მიდის თურმე. ბიბლიოთეკას ამ ჟამად 236 თვიური მკითხველი ჰყოლებია. ყოველ დღიური მკითხველი 84-მდის ადის. მკითხველთა უმრავლესობა სულ მდაბიო ხალხისაგან შესდგება, ასე რომ ბიბლიოთეკა პირდაპირ თავის დანიშნულებას ემსახურება. ორი კოპწიად მოწყობილი ოთახი, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა, თვალსაჩინო და ყველასათვის დასამხარ ადგილასაა დაქირავებული. ბიბლიოთეკის მხნე და გულშემატკივარი გამგე, ქუთაისში ყველასაგან ერთნაირად პატივცემული, ქ-ნი ელენე კონსტანტინეს ასული ჯინოვისა ენერგიულად თავს დასტრიალებს ბიბლიოთეკის კეთილდღეობის საქმეს და ამიტომაცაა, რომ ბიბლიოთეკა ასე მკვიდრ ნიადაგზე დაუყენებია. ქ-ნ ელენე ჯინოვისას დღეს-დღეობით განზრახვა აქვს ბიბლიოთეკას მოუპოვოს საკუთარი შენობა, რისთვისაც უკვე შეუგროვებია ცხრაასი მანეთი. იმედია, რომ ქ-ნი ელენე ჯინოვისა თავის განზრახვას სულ მოკლე ხანში აქცევს საქმეთ, თუ რომ ცოტაოდენი მაინც თანაგრძნობა ექმნება ქალაქის თვითმმართველობის, ბანკის და სხვა ქუთაისის დაწესებულებისაგან. ეგრეთი საშვილიშვილო საქმის განხორციელება, დარწმუნებული ვართ, თვით ამ დაწესებულებების გაღონიერების საქმეს ერთი-ორად ხელს შეუწყობს.

◆ გუშინ ხორცზე ნიხრის დასადგენად ტფილისის ქალაქის გამგეობამ დააკვლევინა **საქონელი.** ხორცი დაჯდა $9\frac{1}{4}$ კაპ. ხარჯიანად, ასე რომ გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო 10 კაპ. იყიდებოდეს 1 გ. ხორცი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან").

18 თებერვალი

**ლონდონი.** გაზ. „ტაიმს"-ი ამბობს: ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისმა მიაღწია ომის უკანასკნელ ხანამდეო. სამხედრო საქმეების აწინდელ მდგომარეობამ გამოიწვია საჭიროება ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქ ბლიუმფონტენისაკენ გალაშქრებისა. შემდეგ გაზეთი ამბობს: „როგორც სჩანს, ჩვენ დაგვჭირდება კიდევ დიდძალის ცხენის გაგზავნა ბრძოლის ველზე; მაგრამ, თუ გვსურს სასურველი დაბოლოვება მივცეთ სამხრეთ-აფრიკის საქმეებს, მაშინ ცხენების გარდა კიდევ დაგვჭირდება რამე".

„მორნინგ პოსტ"-ი სწერს: „ლედი-სმიტის განთავისუფლებამ კრონიეს დამორჩილების შემდეგ სრულიად შესცვალა საქმეთა მდგომარეობა. ამ ჟამად ჟუბერის მხედრობის უმთავრესი ძალები, ალბად, პრეტორიისაკენ მიეშურებიან. ეჭვს გარეშეა, რომ პრეტორიას დიდი ხნით შეუძლია გაუმაგრდეს მტერს. კრიუგერს, ალბად, გარდაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება დიდხანს გამაგრდეს სატახტო ქალაქში იმ იმედით, რომ რომელიმე სახელმწიფო რითიმე დაეხმარება ბურებს".

„სტანდარტი" ამბობს: „საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ როდესაც ბურები განდევნილ იქმნებიან სიმაგრეებიდან და გორაკებიდან, სრულიად ცხადად დამტკიცდება მათი სისუსტე, რადგანაც მათ ჯარებში არ არსებობს საჭირო დისციპლინა და რადგანაც მათ არ იციან წინადვე მოსაზრებულის გეგმით მოძრაობა და მოქმედება".

„მორნინგ პოსტ"-ს ატყობინებენ პაარდებერგიდან 16 თებერვალს, რომ ინგლისის მოწინავე რაზმები დაეწივნენ მტრის ჯარს. უკანასკნელი ზანაკად სდგას და სულ 7 ათას კაციდან უნდა შესდგებოდეს. ესევე ცნობა მოსვლია გაზეთებს „სტანდარტ"-ს და „დეილი ნიუს"-ს.

პალატა. ლორდი ვლეიტევუდი ამბობს, რომ მალე საჭირო შეიქმნება კიდევ 1000 ვოლონტერის გაგზავნა სამხრეთ-აფრიკაში. საჭირო ხარჯი ვოლონტერთა რაზმის შედგენისათვის მთავრობამ უნდა იკისროს და არ არის რიგი მან უცადოს კერძო პირების ინიციატივას. სამხედრო მინისტრი უპასუხებს, რომ ეხლა ინგლისს საშიში რამ არაფერი მოელის. „ლედი-სმიტის განთავისუფლების ამბავი დიდის სიამოვნებით გავიგეთ. ამ გამარჯვებამ დაგვარწმუნა, რომ საშიში აღარა გვჭირს-რა. საკვირველია მამაცობა, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა ჯარებმა. არ ვიცი, ვისი მოქმედება უფრო გასაკვირველია—უაიტისა, თუ მისი ჯარებისა, რომელთაც ასეთი შესანიშნავი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენის გამარჯვებისთვის მადლობელნი უნდა ვიყვეთ მთავარ-სარდლისა, რომელიც ასე ენერგიულად შეესია ორანჟეს რესპუბლიკას. ამ მოძრაობამ შეასუსტა ბურები ნატალში. ერთი კვირის განმავლობაში 4 მარტამდე ბრძოლის ველისკენ წავა 8 გემი 4700 კაცით; 11 მარტს გაგზავნილ იქმნება 5 გემი 9900 კაცით და 25 მარტს 9 გემი 3200 კაცით; სულ, მაშასადამე, გაიგზავნება 38.000 კაცი, ხოლო შემდეგ კიდევ გაიგზავნება 17.800 კაცი, რომელთ გადასაზიდავად გემები ჯერ არ არის დანიშნული."

**რომი.** ბაცარი და 7 სხვა დეპუტატი დაეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს ვისკონტი ვენოსტას,—სურს თუ არა იტალიას ინგლისის მთავრობასთან მეგობრულ განწყობილებით ისარგებლოს და ორიოდე სიტყვა სთქვას ბურების სასარგებლოდ, რომელნიც გასაკვირველის სიმამაცით იბრძვიან თავის დამოუკიდებლობის დასაცველად; სურს თუ არა იტალიას ეცადოს, რომ მებრძოლ ერთა შუა მშვიდობიანობა დაამყაროს.

19 თებერვალი

**ოსფონტეინი.** პაარდებერგთან ბურები სდგანან დაახლოვებით 4 მილის მანძილზე ინგლისის ჯარებისაგან. ბურების რიცხვი 5—6 ათასამდე ადის.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა ინახულა ინგლისის ელჩი და სთხოვა მას, ჩემს მაგიერ მიულოცე ინგლისის დედოფალს სამხრეთ-აფრიკაში გამარჯვებაო.

**პარიზი.** პალატა იხილავს ინტერპელაციას უმაღლეს სასამართლოში განხილულ საქმის შესახებ. ვალდეკ-რუსსო სასამართლოს სასარგებლოდ ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ მან მშვიდობიანობა დაამყარა სახელმწიფოში. პალატამ, 287 ხმით წინააღმდეგ 138-სა, ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ გუშინ ჩინეთმა გადასცა საფრანგეთის საელჩოს შანჰაიში ტერრიტორია, რომელიც საფრანგეთს მიესაჯა კონვენციის ძალით. ეხლა საფრანგეთს ორჯერ უფრო მეტი ტერრიტორია აქვს შანჰაიში, ვიდრე წინადა ჰქონდა.

**კიმბერლეი.** დღეს მოვიდნენ აქ რობერტსი და კიტჩენერი, ხვალ კი ისევ წავლენ.

გუშინ კლიპდამთან გამოჩნდა ბურების რაზმი, რომელმაც დაანგრია რამდენიმე სახლი და გაძარცვა სადგური. ხმა დადის, რომ ბურებს შეუპყრიათ ფრანკ-სმიტში მადნების იარაღები და გაუფუჭებიათ ისინი. ბურების ჯარების ნაწილი წავიდა ქალაქ ბარკლი-ვესტისაკენ და ეხლა ზარბაზნებს ესვრიან მას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან: „ტრანსვაალიდან მოსული სანდო პირები ამბობენ, რომ საეჭვოა ბურებმა მოიწადინონ პრეტორიაში გამაგრება და ინგლისელებთან შებრძოლებაო; პირიქით არამც თუ ორანჟეს ბურები, არამედ ტრანსვაალელნიც სტოვებენ ბრძოლის ველს და ბრუნდებიან სახლში ომის ფორმალურად დასრულებამდე. ბურების გენერლები აღარ უგდებენ ყურს უცხოელ მეხრეკელებს და თავიანთს წინანდელს გამარჯვებას უფრო ბედს აწერენ, ვიდრე თავიანთ სამხედრო ნიჭს.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იტყობინება, რომ ამ ჟამად ის შედის ლედი-სმიტში 73 ფურგონით, რომელნიც სხვა და სხვა სურსათით არიან დატვირთულნი.

**სიმონსტაუნი.** მოვიდა გენერალი კრონიე.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება, რომ 15 თებერვალს მომხდარ ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 6 ოფიცერი და დაუჭრეს 26; ამათ რიცხვში გენ. ბარტონაც არის.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლედი-სმიტიდან, რომ იქ ალყის შემორტყმიდან დღემდე მოკლულია 24 ოფიცერი და 235 ჯარის კაცი; დაჭრილია 70 ოფიცერი და 520 ჯარის კაცი. გარდა ამისა 6 ოფიცერი და 340 ჯარის კაცი დახოცილან სხვა-და-სხვა სენისაგან. ამ რიცხვში არ ურევია ქალაქის ევროპიელი მცხოვრებნი.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ფლოტის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია. კიაო-ჩაუს ბიუჯეტის განხილვა გარდაეცა საბიუჯეტო კომისიას.

**სოფია.** აქ ხმა დადის, რომ განზრახვა აქვთ დაითხოვონ 40 შტაბ-ოფიცერი ჯარების ოფიცერთა კორპუსის განსაახლებლად.

**ბერლინი.** კილიდან მოსულ ცნობებით, საერთაშორისო ფლოტის ალლუმზე, რომელიც გაიმართება საფრანგეთის ერთ-ერთ ნავთსადგურში, გაიგზავნება გერმანიის საუკეთესო გემები „Kaiser Friedric . Ш“ და „Fuerst Bismarkч“

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** ბოლგარიის განთავისუფლების წლის თავზე პეტერბურგში მყოფ ბოლგარელთ ყაზანის საკრებულო ტაძარში გარდაიხადეს პანაშვიდი ხელმწიფე იმპერატორთა ალექსანდრე მეორის და ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად.

**სოფია.** ბოლგარიის განთავისუფლების დღე შესანიშნავად იდღესასწაულეს; მაკედონიის კომიტეტებმა გამართეს სხვა-და-სხვა დემონსტრაციები.

**მონტრეალი.** კანადა, ფრანგ და ინგლისელ სტუდენტთა შორის მოხდა დიდი ჩხუბი იმის გამო, რომ ინგლისელთ იდღესასწაულეს ლედი-სმიტის განთავისუფლება.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ი შიშობს, რომ ვაშინგტონის მთავრობას საზოგადოება აიძულებს სამხრეთ-აფრიკის ომში მონაწილეობა მიიღოს. „ჩვენო,—დასძენს გაზეთი,— არ ვფიქრობთ, რომ ამერიკის ერმა ისურვოს ჩვენ შორის სიძულვილის ჩამოგდება, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხთ მოვაგონოთ, რომ ჩვენ ვეცდებით თავიდან ავაცილოთ იმპერიას ცვალებადი პოლიტიკის ზედმოქმედება.

**ნიუ-იორკი.** ოგაიოს შტატის საკანონმდებლო კრების წევრთ გაუგზავნეს კრონიეს დეპეშა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

**მონტრეალი.** წარსულ ღამ განმეორებულ უწესოებისა გამო, როდესაც კანადელებმა ფრანგებმა აჰგლიჯეს ინგლისელთა ზოგიერთი ბაირაღები, მმართველობამ გადასწყვიტა მოჰკრიბოს მილიცია და მოიწოდოს პოლიცია, რათა დაუშალოს განმეორება არეულობისა.

**სტერკსტრომი.** გატეკრმა დიდის რაზმით 18 თებერვალს დაზვერა სტრომბერგის მხარე. ბურები ესროდნენ ინგლისელებს ორი ზარბაზნიდამ, რომელთა არტილერიამ დაუშინა ბურების ბანაკს და დიდი ზარალი მისცა.

„ლონდონ სტანდარდ“-ში ოსფონტიდან, 17 თებერვალს, დეპეშით იწერებიან, რომ სამხრეთისაკენ 6 მილის სიშორეზე იყო პატარა ბრძოლა, რომელშიაც პოლკოვნიკს პრიმინგტონს ცხენი მოუკლეს. ოსფონტენიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ, დამზვერავი რაზმის სიტყვით, ბურების დიდი რაზმებია.

„ტაიმს“-ს შანჰაიდან დეპეშით სწერენ, რომ ქვრივმა იმპერატრიცამ მისცა საიდუმლო ბრძანება ვიცე-კოროლებს და გუბერნატორებს, მოსძებნონ და დაატუსაღონ ყველა ჩინელები, რომელნიც გარეულნი არიან იმპერიის წესწყობილობის შეცვლის მოძრაობაში.

„ტაიმს“-ი სწერს: „იმპერიას არ ავნებს რა ისე, როგორც გამოჩენა მართებლობის მხრივ სისუსტისა და თანხმობისა დამორჩილდეს სხვა სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებას.

ჩვენ მთელ ქვეყანას უნდა ვუჩვენოთ, რომ შემდეგ ჩვენის გაწვევისა, შემდეგ ჩვენ მიერ მსხვერპლთა შეწირვისა, ბურების ორივე რესპუბლიკა თავიანთ სამხრეთ აფრიკის სხვა ნაწილებით უნდა შეუერთდეს კოროლევას სამფლობელოს. ეს კითხვები ახლა თითქმის გარდაწყვეტილია“.

**კოლენზო.** აიღეს რა იერიშით პიტერს-გილლი, რომელსაც ბურები დიდის თავ გამოდებით იცავდნენ, ინგლისელებმა შეიპყრეს 100 ტყვე, რომელთა შორის ბევრნი იყვნენ ჰოლლანდიელები. ტყვეთ არა სჯეროდათ, რომ კრონიე დანებდა. ინგლისელების მიერ იერიშის მიტანის სამი საათის წინად თხრილებზე ცოლებიც იყვნენ თავიანთ ქმრებთან. ორი მათგანი უპოვნიათ თხრილებზე: ერთი მოკლული, მეორე მკერდში ტყვია გავლილი, რომელიც დღეს გარდაიცვალა.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ მიიღო შემდეგი დეპეშა ლედი-სმიტიდამ. მე დავრწმუნდი, რომ ბურების ძალა უფრო ძლიერი, ვიდრე მე გავბედავდი წარმომედგინა. მთელი არემარე განთავისუფლებულია მათგან, გარდა ვანრონის მთების გასავალისა, სადაც სჩანს რამდენიმე ფურგონი. უკანასკნელი მათი მატარებელი გავიდა გუშინ მოდერსპრუიტის სადგურიდამ, რის შემდეგაც ბურებმა აფეთქეს ხიდი.

თავიანთი ვაგონები მათ დატვირთეს ექვსი დღის წინად და გაემართნენ ლედი-სმიტიდამ ჩრდილოეთისაკენ, ასე რომ ჩვენ ვერ შევიძლითმოგვეჭრა მათთვის გზა. მათ დასტოვეს მაინც დიდძალი სამხედრო სურსათი და ბანაკის სხვა მოწყობილობა; ყოველივე დანარჩენი ზარბაზნებიანად მათთან წაიღეს, დასტოვეს მხოლოდ ორი ზარბაზანი.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ლორენცო-მარკეზიდან ატყობინებენ: როგორც ტრანსვაალიდან იტყობინებიან, კრიუგერი წავიდა პრეტორიიდან, როგორც ჰფიქრობენ შტეინთან მოსალაპარაკებლად. სად წავიდა, არავინ იცის, მაგრამ ყველა, ვინც უწყის ბურების სულის ახლანდელი მდგომარეობა, შესაძლებელად სთვლის, რომ ეს ნაბიჯი ჰნიშნავს მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას.

„სტანდარდტ“-ს ლედი სმიტიდან დეპეშით ატყობინებენ: „კავალერიის ბრიგადა, უნდა ვსთქვათ, რომ აღარ არსებობს. წლის დასაწყისს ჩვენ 5,500 ცხენი და 1,500 ჯორი გვყავდა, იანვრის ბოლოს კი შევეძლო გამოგვეკვებნა 1100 ცხენი, დანარჩენი ცხენები ან ჯარის საკვებად დაიკლა, ან არა და დატოვებულ იქმნა ღვთის ანაბარობაზე საჭმლის უქონლობისა გამო. ყოველ საზღვაო გემისათვის გვქონდა მხოლოდ 40 სროლა ტყვია-წამალი, სხვა ზარბაზნების სურსათი კი საკმარისი იყო რამდენისამე ბრძოლისთვის. მთელს იმ ხანს, რაც ლედი-სმიტს ალყა ჰქონდა შემორტყმული, გამოსროლილი იყო 12,000 ყუმბარა ან საშუალო რიცხვით, სამი ტონნა ასაფეთქებელი ნივთიერება ყოველ დღე; მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მოგვიკლეს 35 და დაგვიჭრეს 188“.

რენსბურგიდან გაზეთებს ატყობინებენ, რომ ინგლისის მოწინავე რაზმმა დაიჭირა აფტერტანგი. კოლსბერგისაკენ ტელეგრაფი განთავისუფლებულია; ბურები წავიდნენ ორანჟეს რესპუბლიკაში.

**პარიჟი.** ლუბემ ინახულა პორტერი და ტომპსონი, რომელთაც მაკ-კინლეიმ დაავალა გარდაეცათ პრეზიდენტისათვის დოლარი, რომელიც მოჭრილ იქმნა პარიზში ლაფაიეტის ძეგლის გახსნის სახსოვრად.

ტონპსონმა სთხოვა პრეზიდენტს მიეღო დოლარი, როგორც მოწმობა მაკ-კინლეისა და მთელი ამერიკის ერის ფრანგთადმი სიმპატიისა მას ჰსურს, რომ დოლლარი რომელზედაც ვაშნგტონის და ლაფაიეტის სურათები არის გამოქანდაკებული, დარჩეს ნიშნად მეგობრობის, რომელიც აკავშირებს ორ დიდებულს რესპუბლიკას. ლუბემ თავის აზრით სთხოვა ტომპსონს გარდასცეს მაკ-კინლეის და ამერიკის ერს მადლობა და მისი გულწრფელი სიმპატია რესპუბლიკის მართველობას. ლუბემ დასძინა, რომ იგი ამაყობს ამ საჩუქრით, რომელიც თავდებია ურთიერთ შორის იმ მეგობრობისა, რომელიც აკავშირებს საფრანგეთს ამერიკასთან.

**პეტერბურგის ბირჟა 18 თებ᾽რ.**

| | მყიდველისა მ. კ. | გამყიდველისა მ. კ. | გაყიდულისა მ. კ. |
|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 218¼ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91/¾ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | — „ | 90½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . | 97 „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა , . . , . | 90 „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | 294½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 276 „ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდრო ცნობები

**სამშაბთი,** 22 თებერვალი; ახალი სტილით 6 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 313 დღე. მთვარის მე-7 დღე. მეორე დღე დიდი მარხვისა. პოვნა ნაწილთა წმ. ევგენიასი და ღირსისა ათანასესი.

**ოთხშაბათი,** 23 თებერვალი; ახალი სტილით 7 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 312 დღე. მთვარის მე-8 დღე. დიდი მარხვის მესამე დღე. ხსენება წმ. პოლიკარპესი, სმირნის ეპისკოპოზისა და ღირსთა ალექსანდრესი და ანტონინესი.

### ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა | . | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. | . | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. | . | » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზადზე
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რეხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და კეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსავარდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

გამომც. გ. ბუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.